სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

04 ნოემბერი 2025

N 684/ს

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

შპს „მარაბდა-კარწახის რკინიგზა“-ს მარაბდა-კარწახის სარკინიგზო მაგისტრალის სადგურ „ახალქალაქი“-ს ექსპლუატაციის პირობის ცვლილებაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ

შპს „მარაბდა-კარწახის რკინიგზა“-ს მიერ „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ (შემდგომ – კოდექსი) შესაბამისად, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით განსაზღვრული საქმიანობის ექსპლუატაციის პირობის ცვლილების შესახებ გარემოზე ზემოქმედების შეფასების (შემდგომ – გზშ) ანგარიშის წარდგენის საჭიროების დადგენის მიზნით, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში (შემდგომ – სააგენტო), კოდექსის მე-5 მუხლის მე-12 ნაწილის საფუძველზე, წარმოდგენილია გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით განსაზღვრული საქმიანობის (მარაბდა-კარწახის სარკინიგზო მაგისტრალის სადგურ „ახალქალაქი“-ს მოწყობა და ექსპლუატაცია) ექსპლუატაციის პირობის ცვლილებაზე სკრინინგის განცხადება.

2012 წლის 3 აპრილს საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტროს მიერ შპს „მარაბდა-კარწახის რკინიგზა“-ს მარაბდა-კარწახის სარკინიგზო მაგისტრალის სადგურ „ახალქალაქი“-ს მოწყობასა და ექსპლუატაციაზე გაცემულია №16 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა. აღნიშნული ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე, 2019 წლის 20 მაისს, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ, კოდექსის 48-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, შპს „მარაბდა-კარწახის რკინიგზა“-ს საქმიანობაზე გაიცა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება (ბრძანება №2-420).

2019 წლის 22 მაისს და 2020 წლის 24 სექტემბერს ზემოაღნიშნული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით განსაზღვრული საქმიანობის ექსპლუატაციის პირობების ცვლილებებზე ასევე გაცემულია სკრინინგის გადაწყვეტილებები (ბრძანება №2-440 და №2-853), რომელთა საფუძველზეც, დაგეგმილი ექსპლუატაციის პირობების ცვლილებები გზშ-ს არ დაექვემდებარა.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით განსაზღვრული სადგური „ახალქალაქი“ წარმოადგენს ბაქო-თბილისი-ყარსის სარკინიგზო მაგისტრალის ძირითად შემადგენელ ობიექტს, რომელიც უზრუნველყოფს თურქეთის რესპუბლიკიდან შემოსული ტვირთების საქართველოს ტერიტორიაზე გატარებას და პირიქით. სადგური ახალქალაქისა და ნინოწმინდის მუნიციპალიტეტების ტერიტორიებზე მდებარეობს და მისი დანიშნულება მარაბდა-კარწახის სარკინიგზო მაგისტრალზე მოძრავი შემადგენლობების მომსახურებაა, რაც ევროპული ლიანდაგიდან ვაგონების საქართველოში არსებულ ლიანდაგზე გადატანას, ტვირთების დროებით დასაწყობებას და დანიშნულებისამებრ გაგზავნას გულისხმობს. სადგურში ტვირთების მომსახურებასთან ერთად

განსაზღვრულია სამგზავრო სადგურის და საბაჟო მომსახურების სისტემისთვის განკუთვნილი ობიექტების მშენებლობა. სადგურის ტერიტორიაზე გათვალისწინებულია 20 კილომეტრამდე სიგრძის ევროპული და საქართველოში არსებული ლიანდაგების, ასევე სხვადასხვა დანიშნულების 50-მდე შენობა-ნაგებობის მშენებლობა. პირველ ეტაპზე სადგური ორივე მიმართულებით 5 მილიონ ტ/წელ ტვირთნაკადს გაატარებს, ხოლო პერსპექტივაში ტვირთნაკადები წელიწადში 15 მილიონ ტონამდე გაიზრდება. განსახილველი ობიექტიდან უახლოესი დასახლებული პუნქტი (სოფელი ყულალისი და სოფელი ჯიგრაშენი) 500 მეტრით არის დაშორებული. ამასთან, განსახილველი ობიექტის ტერიტორია კვეთს სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების მიზნით გაცემული ლიცენზიის კონტურს.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, მშენებლობის პროცესში, საპროექტო დოკუმენტაციის დამუშავების ეტაპზე, შპს „მარაბდა-კარწახის რკინიგზა“-ს მიერ განხორციელდა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით განსაზღვრული საქმიანობის ექსპლუატაციის პირობის ცვლილება. აღნიშნული ცვლილების ფარგლებში დაზუსტდა სალიანდაგო განვითარების და მიწისქვეშა საინჟინრო კომუნიკაციების გეგმები, რამაც რიგი შენობა-ნაგებობების ადგილმდებარეობის, კონფიგურაციის და გაბარიტების ცვლილება, ასევე ახალი-შენობა ნაგებობების დამატების საჭიროება განაპირობა.

წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად, ვინაიდან ექსპლუატაციის პირობის ცვლილება გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით განსაზღვრული საქმიანობის გზშ-ის ეტაპზე დეტალურად შესწავლილ ტერიტორიაზე განხორციელდა, დამატებითი კვლევების ჩატარების საჭიროება არ დგას. რაც შეეხება განსახილველი ობიექტის ფუნქციონირების ეტაპს, ექსპლუატაციის პირობის ცვლილების სპეციფიკის, მასშტაბისა და მახასიათებლების გათვალისწინებით, გარემოს სხვადასხვა კომპონენტებზე მოსალოდნელი ზემოქმედების მნიშვნელოვან ცვლილებას ადგილი არ ექნება.

სკრინინგის განცხადების თანახმად, განსახილველი ობიექტი არ მდებარეობს არქეოლოგიური და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების, ასევე დაცული და ტყით მჭიდროდ დაფარული ტერიტორიების სიახლოვეს, სადაც გაბატონებულია საქართველოს „წითელი ნუსხის“ სახეობები. ექსპლუატაციის პირობის ცვლილება განხორციელებულია ანთროპოგენური ზემოქმედებით სახეცვლილ ტერიტორიაზე. ამასთან, ვინაიდან განსახილველი ობიექტის ტერიტორია კვეთს სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების მიზნით გაცემული ლიცენზიის კონტურს, სკრინინგის განცხადების განხილვის ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე სკრინინგის განცხადება გადაეგზავნა სსიპ მინერალური რესურსების ეროვნულ სააგენტოს. საპასუხო კორესპონდენციის მიხედვით, განსახილველი ობიექტის ტერიტორია კვეთს ანდეზიტ-ბაზალტის მოპოვების მიზნით შპს „გლობალ-მშენ-ინვესტი“-ზე 20 წლის ვადით გაცემული №1001402 ლიცენზიის მესამე და მეოთხე უბნის კონტურებს. „წიაღის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, აკრძალულია წიაღის ფონდის მიწების საკუთრების უფლებით, იჯარით ან სხვა ფორმით გაცემა სსიპ მინერალური რესურსების ეროვნულ სააგენტოსთან შეთანხმების გარეშე, ხოლო ლიცენზირებული ობიექტის შემთხვევაში, აგრეთვე ლიცენზიის მფლობელთან შეთანხმების გარეშე.

კოდექსის მე-7 მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სკრინინგის განცხადება გამოქვეყნდა გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე და გადაიგზავნა ახალქალაქისა და ნინოწმინდის მუნიციპალიტეტების მერიაში, საინფორმაციო დაფებზე განთავსების მიზნით. სკრინინგის განცხადების განხილვის ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე საზოგადოების მხრიდან სკრინინგის განცხადებით გათვალისწინებულ საქმიანობასთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები სააგენტოში წარმოდგენილი არ ყოფილა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ექსპლუატაციის პირობის ცვლილების კოდექსით განსაზღვრული კრიტერიუმებით შეფასების მიხედვით, კოდექსის მე-5 მუხლის მე-12 ნაწილისა და მე-7 მუხლის მე-6 ნაწილის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ შპს „მარაბდა-კარწახის რკინიგზა“-ს მარაბდა-კარწახის სარკინიგზო მაგისტრალის სადგურ „ახალქალაქი“-ს ექსპლუატაციის პირობის ცვლილება **არ საჭიროებს** გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით განსაზღვრული საქმიანობის ექსპლუატაციის პირობის ცვლილების შესახებ გზშ-ის ანგარიშის წარდგენას;
2. შპს „მარაბდა-კარწახის რკინიგზა“ ვალდებულია საქმიანობა განახორციელოს 2019 წლის 20 მაისს გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით (ბრძანება №2-420) განსაზღვრული პირობების შესაბამისად, წარმოდგენილი ექსპლუატაციის პირობის ცვლილების გათვალისწინებით;
3. შპს „მარაბდა-კარწახის რკინიგზა“ ვალდებულია, სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 2 თვის ვადაში, წარმოდგენილი ექსპლუატაციის პირობების ცვლილების გათვალისწინებით, უზრუნველყოს განახლებული გარემოსდაცვითი მონიტორინგის გეგმის სააგენტოსთან შეთანხმება, ხოლო მონიტორინგი განახორციელოს სააგენტოსთან შეთანხმებული მონიტორინგის გეგმის შესაბამისად;
4. შპს „მარაბდა-კარწახის რკინიგზა“ ვალდებულია, სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 2 თვის ვადაში, წარმოდგენილი ექსპლუატაციის პირობის ცვლილების გათვალისწინებით, უზრუნველყოს განახლებული ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტის სააგენტოსთან შეთანხმება, ხოლო ექსპლუატაციის ეტაპზე, უზრუნველყოს სააგენტოსთან შეთანხმებული გამოყოფის და გაფრქვევის წყაროების პარამეტრების დაცვა და შესაბამისად დადგენილი ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტის შესრულება;
5. შპს „მარაბდა-კარწახის რკინიგზა“ ვალდებულია, სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 2 თვის ვადაში, წარმოდგენილი ექსპლუატაციის პირობების ცვლილების გათვალისწინებით, უზრუნველყოს განახლებული ზედაპირული წყლის ობიექტში ჩამდინარე წყლებთან ერთად ჩაშვებულ დამაბინძურებელ ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები ჩაშვების ნორმების პროექტის სააგენტოსთან შეთანხმება, ხოლო ექსპლუატაციის ეტაპზე უზრუნველყოს სააგენტოსთან შეთანხმებული ზღვრულად დასაშვები ჩაშვების ნორმების დაცვა;
6. შპს „მარაბდა-კარწახის რკინიგზა“ ვალდებულია, სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 2 თვის ვადაში, წარმოდგენილი ექსპლუატაციის პირობების ცვლილების გათვალისწინებით, უზრუნველყოს განახლებული ნარჩენების მართვის გეგმის სააგენტოსთან შეთანხმება;
7. შპს „მარაბდა-კარწახის რკინიგზა“ ვალდებულია, სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 2 თვის ვადაში, წარმოდგენილი ექსპლუატაციის პირობის ცვლილების გათვალისწინებით, უზრუნველყოს საქმიანობის სსიპ მინერალური რესურსების ეროვნულ სააგენტოსთან და ლიცენზიის მფლობელთან შეთანხმება;
8. შპს „მარაბდა-კარწახის რკინიგზა“-სთვის ზემოაღნიშნული პირობები წარმოადგენს 2019 წლის 20 მაისს გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით (ბრძანება №2-420) განსაზღვრული პირობების განუყოფელ ნაწილს და მათი შესრულება სავალდებულოა;
9. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „მარაბდა-კარწახის რკინიგზა“-ს;
10. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „მარაბდა-კარწახის რკინიგზა“-ს მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;

11. სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში გადაწყვეტილება განთავსდეს გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე და ახალქალაქისა და ნინოწმინდის მუნიციპალიტეტების მერიის საინფორმაციო დაფებზე;
12. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64), მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ელენე ღუბიანური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

https://edocument.ge/mea/public/#/684-21-4-202511041600

QUALIFIED ELECTRONIC SIGNATURE